

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის
მნიშვნელობა საბაზისო საფეხურზე მყოფი მოსწავლეების პროფესიის
არჩევანზე

ნათია გასვიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016



განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია გასვიანი

27.06.2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის მნიშვნელობას საბაზისო საფეხურზე მყოფი მოსწავლეების პროფესიის არჩევანზე. ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა დაგვედგინა პროგრამის ეფექტურობა. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის არსზე, ამ კუთხით ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელებულ პროგრამაზე. კვლევა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ახალციხე, გორი, ოზურგეთი, თელავი. სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საპილოტე პროგრამაში ჩათული მე-9 კლასის მოსწავლეები.

სოციალური მუშაობის პრაქტიკამ ბავშვზე ზრუნვის სფეროში და ახლანდელმა სამუშაო გამოცდილებამ მაჩვენა, რომ მოზარდის მიერ გააზრებული პროფესიული არჩევანის გაკეთება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მომავლის სწორ დაგეგმვასა და პიროვნულ თვითრეალიზებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე მოხდა ჩემი საკვლევით თემით დაინტერესება. მე, როგორც პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამაში მომუშავე ადამიანს, გამიჩნდა ინტერესი შემესწავლა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ეფექტურობა, მისი მნიშვნელობა საბაზისო საფეხურზე მყოფი მოსწავლეების პროფესიის არჩევანზე. ასევე, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საქართველოს მასშტაბით კვლევები არ ჩატარებულა და ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა დაგვეხმარება გავაანალიზოთ რამდენად სწორი ხედვა აქვს სახელმწიფოს შემუშავებული პროფორიენტაციისა და კარიერის

დაგეგმვის კუთხით და რამდენად ეფექტურად ხორციელდება აღნიშნული პროგრამა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კვლევამ აჩვენა, რომ საბაზისო საფეხურზე მყოფი მოსწავლეებისთვის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა მნიშვნელოვანია და პროფესიის არჩევანზე ნამდვილად ახდენს ზეგავლენას. გამოკითხულთა მხრიდან პროგრამა დადებითად არის შეფასებული. შემაჯამებელი კითხვის მონაცემები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეების უმეტესობას ნაფიქრი ჰქონდა პროფესიის არჩევაზე, თუმცა პროგრამაში ჩართვის შემდეგ მათი პროფესიული არჩევანი შეიცვალა. აღნიშნულიდან ჩანს, რომ მათ არ ჰქონდათ გაცნობიერებული არჩევანი გაკეთებული და პროგრამაში მიღებული ცოდნა დაეხმარა მათ თვითგამორკვევასა და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პროფორიენტაცია, კარიერის დაგეგმვა, მოსწავლე.

Abstract

The present theme is about professional orientation and career planning program, which includes a basic level of the students' choice of their profession. Within the theme, was used quantitative research, which aimed to determine the effectiveness of the program. Also, there are highlighted the career program plans and educational goals. The research was conducted in the following cities of Georgia: Tbilisi, Akhaltsikhe, Gori, Ozurgeti, Telavi. The target groups were identified by the 9th grade students of the career planning pilot program. Social work practice in the field of the child care and the current working experience showed us that students forethought choices have crucial importance in the future for their personal self-realization. In spite of the designated aims, I was interested to learn the effectiveness of

the career planning program and its' meaning of the basic level of the students' choice. It should be noted, in the past there was no research like that. My results, will help us to analyze the vision of the government about students education and future career. The research showed us its' importance and influence in the future. Summary of the data shows that most of students had thought about career, but after the joining the program their professional choices had changed.

Key-words: professional orientation, career planning.